



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 87233628

თარიღი:28/12/2023

დადგენილება №35

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულება“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 09/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016425).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



განმარტებითი ბარათი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ იცვლება იურიდიული სამსახურის სტრუქტურა. კერძოდ, ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება (რომელიც ამჟამად იურიდიული სამსახურის განყოფილებაა) ყალიბდება ცალკე სტრუქტურულ ერთეულად.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, იურიდიული სამსახურის ახალი დებულების ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება აღარ იქნება იურიდიული სამსახურის სტრუქტურაში.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით დადგენილება შედგება 3 მუხლისგან და დანართისგან. პირველი მუხლის მიხედვით მტკიცდება ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ახალი დებულება, ხოლო მეორე მუხლის მიხედვით ძალადაკარგულად ცხადდება 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილება. მესამე მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

დანართი - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულება შედგება 4 მუხლისგან. პირველი მუხლი მოიცავს იურიდიული სამსახურის სტატუსს, მეორე მუხლის მოიცავს იურიდიული სამსახურის სტრუქტურას. მესამე მუხლში გაწერილია სამსახურის ფუნქციები, მეოთხე მუხლი მოიცავს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებს.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.